ვალერიან მჭედლიძე კორეის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში დაესუ ჩანგს შეხვდა

15 ივლისი 2021

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერიან მჭედლიძემ კორეის რესპუბლიკის ელჩთან საქართველოში დაესუ ჩანგთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე საქართველო-კორეას შორის სამომავლო თანამშრომლობაზე და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებზე იმსჯელეს. ამავდროულად, მხარეებმა შიდა ქართლის რეგიონის ტურისტულ და საინვესტიციო პოტენციალზე ისაუბრეს. როგორც ვალერიან მჭედლიძემ შეხვედრისას აღნიშნა, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის განვითარებისა და გაძლიერების კუთხით.

რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული და კორეის რესპუბლიკის ელჩი სამომავლოდ მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.